დანართი 15

დამტკიცება: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს
დადგენილება #03, 10/01/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
უცხოური ენების ცენტრის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისი
2024

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. დებულება განსაზღვრავს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის – უცხოური ენების ცენტრის (შემდგომში – „ცენტრი“) ფუნქციებსა და ამოცანებს, ცენტრის სტრუქტურას და მისი პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებს.

1.2. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, უნივერსიტეტის დებულების, ამ დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

1.3. ცენტრის დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა როგორც ცენტრის ადმინისტრაციისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის, მოწვეული ლექტორებისა და სტუდენტებისთვის.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ამოცანები

2.1. ცენტრის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის შესაბამისად, უცხოური ენების (ქართული (არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის) ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული, ესპანური, ჩინური, არაბული, კორეული) სწავლების უზრუნველყოფა ყველა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით;

ბ) სტუდენტის უზრუნველყოფა უცხოური ენების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცოდნით;

გ) სასწავლო კურსებისა და სწავლების მეთოდების მუდმივი განახლება;

დ) უცხოური ენის ლექტორების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

ე) უნივერსიტეტის სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებელთა და ნებისმიერ მსურველ პირთა უცხოური ენების ინტენსიური სწავლება (შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე);

ვ) ცენტრის ფუნქციონირებისათვის შესაბამისი სასწავლო მასალისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა-განვითარება;

ზ) სხვა ამოცანები, რომელიც არ ცვლის უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებსა და ამოცანებს ან/და არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს.

მუხლი 3. ცენტრის ფუნქციები

3.1. ცენტრის ფუნქცია-მოვალეობებია:

ა) უცხოური ენების პროგრამის შემუშავებასა და მის შემდგომ განვითარებაზე კოორდინაციის გაწევა;

ბ)

გ) უცხოური ენების სწავლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვის უზრუნველყოფა უნივერსიტეტში;

დ) უცხოური ენის დონის მიხედვით, საგამოცდო პროგრამის შემუშავების და დანერგვის უზრუნველყოფა;

ე) რეკომენდაციების მისაღებად თანამშრომლობა იმ ორგანიზაციებთან, რომელთა კომპეტენცია აღიარებულია საერთაშორისო დონეზე;

ვ) საგანმანათლებლო პროგრამებზე ენების სწავლების პროცესის მიმდინარეობაზე კოორდინაციის გაწევა;

ზ) კოორდინაციის გაწევა უცხოური ენების გამოცდის ყველა დონეზე;

თ) კომპეტენციის ფარგლებში ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესში მონაწილეობა;
ი) დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 4. ცენტრის სტრუქტურა და მართვა.
4.1. ცენტრის შემადგენლობაში შედის:
ა) ცენტრის ხელმძღვანელი;
ბ) ცენტრის თანამშრომელი;
გ) ლექტორი.
4.2. ცენტრის თანამშრომელს უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
4.3. ცენტრი უშუალოდ ექვემდებარება პრორექტორს სასწავლო დარგში და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.
4.4. სამსახურში მიღებისას, თანამშრომელთათვის წარსადგენ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, აუცილებლობის შემთხვევაში განსაზღვრავს რექტორი.

მუხლი 5. ცენტრის ხელმძღვანელი
5.1. ცენტრის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს ცენტრის ხელმძღვანელი.
5.2. ხელმძღვანელი წარმოადგენს ცენტრს შიდასაუნივერსიტეტო და საგარეო ურთიერთობებში, გეგმავს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას და პასუხისმგებელია მის ეფექტურ მუშაობაზე.
5.3. ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მიიღება პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება – არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და აქვს განათლების სფეროში ან საგანმანათლებლო საკითხებთან მუშაობის გამოცდილება და ფლობს ქართულ და ინგლისურ ენებს.

მუხლი 6. ცენტრის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები
6.1. ცენტრის ხელმძღვანელი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას უნივერსიტეტის დებულებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად;
ბ) უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესაბამისად შეიმუშავებს ცენტრის ყოველწლიურ სამოქმედო გეგმას და უზრუნველყოფს მის განხორციელებას;
გ) კოორდინაციას უწევს უცხოური ენების სწავლებას უნივერსიტეტის ყველა შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე და უზრუნველყოფს ენის ლექტორების შესაბამის დატვირთვას უნივერსიტეტის სკოლების მიხედვით;
დ) აწარმოებს უნივერსიტეტის ყველა უცხოური ენის მონაცემთა ერთიან ბაზას, სადაც შეყვანილია ცენტრის პერსონალის საკონტაქტო ინფორმაცია;
ე) კოორდინირებას უწევს ცენტრის კომპეტენციაში შემავალი კომპონენტების სილაბუსების მომზადების, განახლებისა და კორექტირების პროცესს დარგის თანამედროვე მოთხოვნების, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ან/და აკრედიტაციის ექსპერტებისაგან მიღებული შენიშვნების/რეკომენდაციების გათვალისწინებით;
ვ) მონაწილეობს სემესტრული სასწავლო განრიგის (ცხრილის) მომზადებაში, სკოლების ადმინისტრაციულ დირექტორებთან კოორდინირებით;
ზ) ყოველი სემესტრის დაწყებამდე ორგანიზებას უწევს უცხოური ენების მიმართულებების ლექტორების საორიენტაციო შეხვედრებს სასწავლო პროცესის სიახლეებისა და ცენტრის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების გაცნობის მიზნით;

თ) ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ ორგანიზებას უწევს უცხოური ენების ლექტორების შეხვედრას სემესტრული შედეგების გაცნობის, გაანალიზების და სემესტრის მიმდინარეობისას წარმოშობილი სირთულეების განხილვისა და გადაწყვეტის გზების შეჯერების მიზნით;
ი) უზრუნველყოფს საგამოცდო მასალების შინაარსობრივ შესაბამისობას სილაბუსებთან და, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს მითითებებს სასწავლო კურსის ლექტორს;
კ) ახდენს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს სემესტრის დასრულების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, აანალიზებს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას ენებისა და სკოლების მიხედვით და მიღებულ შედეგებს აწვდის უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და სკოლებს;
ლ) საჯარო ლექციების და პროფესიული განვითარების ხელშემწყობი სემინარების ჩატარების მიზნით, შესაბამის პირებთან/ორგანიზაციებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს და წარადგენს ღონისძიების ორგანიზების ინიციატივას უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
მ) უზრუნველყოფს მუდმივ კომუნიკაციას უნივერსიტეტის სხვადასხვა სკოლასთან უცხოური ენების სწავლების გაუმჯობესებისა და სკოლების სპეციფიკური მოთხოვნილებების გათვალისწინების მიზნით;
ნ) სემესტრის ბოლოს ეცნობა სტუდენტების მიერ წარმოებულ ცენტრის ლექტორთა შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში პრორექტორთან ერთად აკადემიურ დარგში იღებს შესაბამის ზომებს;
ო)ზედამხედველობს ცენტრის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;
პ)კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესში;
ჟ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 7. ენების ცენტრის თანამშრომელი

7.1. ენების ცენტრის თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობებია:
ა) ცენტრის კათედრების ხელმძღვანელებისა და მასწავლებლებისთვის პირველადი კონსულტაციის გაწევა უფლებამოსილების ფარგლებში;
ბ) ცენტრის კომპეტენციის შესაბამისი შეხვედრების ორგანიზება და ადმინისტრირება;
გ) სათანადო ოქმებისა და დოკუმენტაციის წარმოება გამართული სხდომებისა და შეხვედრების შესახებ;
დ) ინფორმაციის წარმოება ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
ე) ცენტრის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების მხარდაჭერა;
ვ) პარტნიორ ორგანიზაციებთან და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან კომუნიკაციის წარმართვა;
ზ) ხელმძღვანელის მიერ გაცემული სხვა დავალებების შესრულება.
7.2. ენების ცენტრის თანამშრომლის პოზიციაზე მიიღება უმაღლესი განათლების მქონე პირი ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, რომელიც ფლობს ქართულ და ინგლისურ ენებს.
7.3. ცენტრის თანამშრომელი ანგარიშვალდებულია ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ მიღებისთანავე.
8.2 წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესების შესაბამისად;

8.3. ცვლილებებს განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის მმართველი საბჭო.